განკარგულება:**გ-17. 17242082**
თარიღი:**26/07/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“-ის დირექტორის ანგარიში 2023-2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “გ.ა” ქვეპუნქტის საფუძველზე

1. ცნობად იქნეს მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“-ის დირექტორის ანგარიში, 2023-2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქ #60ა)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბ-ნ დავით ზაალიშვილს

ა(ა)იპ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის
სახელობის სამუსიკო სკოლის
დირექტორის მარინა ქიტიაშვილის

ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის 2023 დამტკიცებული გეგმა შეადგენს 411700 ლარს. ხოლო შესრულებამ შეადგინა 409 839,20ლარი . მ.შ სახელფასო ფონდი: 350 295.20 ლარი, კომუნალურის გადასახადები:25651 ლარი, საზღვარგარეთის მივლინების ხარჯი 3211 ლარი,მივლინება ქვეყნის შიგნით:4391 ლარი, სხვა ხარჯი: 26288 ლარი.
პროგრამის აღწერა:
ა(ა)იპ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში 2023 წელს თვეში ირიცხება 276 მოსწავლე.
სამუსიკო სკოლას ჰყავს ისეთი წარჩინებული მოსწავლეები რომლებიც სისტემატიურად მონაწილეობენ და იმარჯვებენ საერთაშორისო ,რეგიონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში და ფესტივალებში.
სამუსიკო სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესში სისტემატიურად ტარდება სასკოლო ღონისძიებები კლასის კონცერტები, აკადემიური, სექციის, ღია კონცერტები ასევე სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებები.
მიღწეული შუალედური შედეგები:
2023 წლის მარტის თვეში ქ. თბილისში ჩატარდა ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირი „ჰარმონიას“ მიერ მე-9 საერთაშორის კონკურსი „ნორჩი ვირტუოზი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის შვიდმა მოსწავლემ. რომელთაგან სამმა აიღო პირველი ადგილი. სამმა -მეორე ადგილი და ერთმა - მესამე ადგილი.
ქ. გორში ჩატარდა კლასიკური მუსიკის მე-16 ეროვნული კონკურს ფესტივალი მომავლის ვარსკვლავები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ერთმა მოსწავლემ და აიღო პირველი ადგილი.
ქ.თბილისში ჩატარდა ფესტივალ-კონკურის ,,იპოვე შენი ვარსკვლავი“ სადაც ბორჯომის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებიიდან „ვარსკვლავის“ წოდება მიენიჭა სამუსიკო სკოლის მოსწავლეს ლიზი ხაჩიძეს, „გრანა პრი“ ილია ალთუნაშვილს, ხოლო დანარჩენ 7 მოსწავლეს პირველი და მეორე ადგილები.
2023 წლის აპრილის თვეში ქ.ზესტაფონში ქართული მუსიკის კონკურსი მე7 ეროვნული კონკურსი სადაც მონაწილეობდა 2 მოსწავლე და ორივე პირველი ადვილი.
ქ. გორში კლასიკური მუსიკის მე-16 ეროვნული კონკურს-ფესტივალი ,,მომავლის ვარსკვლავებ სადაც მონაწილეობდა ერთი მოსწავლე.
2023 წლის მაისის თვეში ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-7 ეროვნული კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღოა ფოლკლორულ გუნდმა და სამმა ვოკალურმა ანსამბლმა.
ჩეხეთი პრაღა საერთაშორისო კონკურსი ART-DUO რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა მოსწავლემ და გადაინაწილეს პირველი-მეორე საპრიზო ადგილები.
ქ .თბილოსში ანსამბლ ოქტავას მიწვევით გამოსვლა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში
ქ. გორში მე-12 რეგიონალური კონკურსი სადაც მონაწილეობა მიიღო 18 მოსწავლებ და დაჯილდოვდნენ მაღალი საპრიზო ადგილებით და დიპლომებით.
2023 წლის ივნისის თვეში ქ. ახალციხეში ჩატარდა ქართული სიმღერის კონკურსი ,,სხვა საქართველო სად არის“სადაც მონაწილეობდა ფოლკლორული გუნდი,ვოკალური ანსამბლი,ერთი სოლო შემსრულებელი.

2023 წლის ოქტომბრის თვეში ქ.ბორჯომში ჩატარდა თ.ამირეჯიბის სახ.პიანისტთა მე-9 საერთაშორისო კონკურსი სადაც მონაწილეობა მიიღო 4 მოსწავლემ რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომებით და საპრიზო ადგილებით.
2023 წლის ნოემბრის თვეში ქ. ბათუმში ჩატარდა ,,ფესტივალიდან-ფესტივალამდე" ყოველწლიური კვირეული სადაც მონაწილეობა მიიღო 2 მოსწავლემ და შეასრულეს საფორტეპიანო კონცერტები ორკესტრთან ერთად.
2023 წლის განმავლობაში სისტემატიურად ტარდებოდა შიდა სასკოლო დედის დღისადმი,ბავშვთა დაცვის დღისადმი, მასწავლებლთა დღისადმი,საახალწლო, კლასის,სექციური აკადემიური, ვოკალური,სავიოლინო კლასის კონცერტები,ღია კარის დღე, პროფესორ ლია ჭონიშვილის მასტერ კლასი საგუნდო სიმღერაში, ანსამბლ ,,ოქტავას" კონცერტები.
ასევე სისტემატიურად ვღებულობთ მონაწილეობას მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.

ინფორმაცია მიმდინარე წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის 2024 წლის 6 თვის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 246 000ლარს. ხოლო შესრულებამ შეადგინა 231 076 ლარი, მ.შ სახელფასო ფონდი: 187705 ლარი, კომუნალურის გადასახადები: 16546 ლარი, კულტურული ღონისძიების ხარჯი: 9428 ლარი, აკუსტიკური და ელექტროპიანინოები: 8600 ლარი. სხვა ხარჯი: 8797 ლარი
პროგრამის აღწერა:
ა(ა)იპ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში 2024 ს/წ ირიცხება 269 მოსწავლე.
სამუსიკო სკოლას ჰყავს ისეთი წარჩინებული მოსწავლეები რომლებიც სისტემატიურად მონაწილეობენ და იმარჯვებენ საერთაშორისო ,რეგიონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში და ფესტივალებში.
სამუსიკო სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესში სისტემატიურად ტარდება სასკოლო ღონისძიებები კლასის კონცერტები,აკადემიური,სექციის, ღია კონცერტები ასევე სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებები.
მიღწეული შუალედური შედეგები:
2024 წლის იანვრის თვეში ქ.თბილისში ჩატარდა მოცარტის სახ. მე-9 საერთაშორისო კონკურსი სადაც მონაწილეობდა სამი მოსწავლე და მოიპოვეს მაღალი საპრიზო ადგილები.
2024 წლის მარტის თვეში ქ.თბილისში ჩატარდა:1. მუსიკოს-შემსრულებელთა მე-10 საერთაშორისო კონკურსი 2. კლასიკური მუსიკის მე-17 ეროვნული კონკურს-ფესტივალი,,მომავლის ვარსკვლავები"3.კლასიკური მუსიკის მე-16 რესპუბლიკური ფესტივალ-კონკურსი ,,იპოვე შენი ვარსკვლავი" 4. ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირი „ჰარმონიას" მიერ მე-10-საერთაშორის კონკურსი „ნორჩი ვირტუოზი" აღნიშნულ კონკურსებში მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის 9 მოსწავლემ და მიიღეს მაღალი საპრიზო ადგილები და მათ შორის ორი გრან-პრი.
2024 წლის აპრილის თვეში ჩატარდა ქ.ჭიათურაში 1. ქართული სიმღერის კონკურსი კომპოზიტორ გიორგი ცაბაძის 100 წლისთავიდადმი მიძღვნილი.
2. ქ. ბორჯომი, ახალციხე, მარნეული სამ ტურად (აპრილი, მაისი, ივნისი) ჩატარდა ქართული სიმღერი კონკურსი ,,სხვა საქართველო სად არის" აღნიშნულ კონკურსებში მონაწილეობდნენ სოლიო სიმღერის შემსრულებლები 4 მოსწავლე,ფოლკლორული და აკადემიური გუნდი 36 მოსწავლე.
2024 წლის მაისის თვეში ქ.თბილისში ჩატარდა ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი ,,ნიჭიერი კლასიკოსები" სადაც მონაწილეობდა ერთი მოსწავლე და მოიპოვა მე-2 საპრიზო ადგილი.
2024 წლის ივნისის თვეში ქ. გორში ჩატარდა მე-13 რეგიონალური კონკურსი სადაც მონაწილეობა მიიღო 12 მოსწავლემ და მოიპოვეს უმაღლესი კატეგორიის დიპლომები და მაღალი საპრიზო ადგილები.